თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 660
"11" 12 2015

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18/08/2015 წლის N2144139, 03/08/2015 წლის N2047638, 04/09/2015 წლის N2170879, 08/09/2015 წლის N22179005, 03/09/2015 წლის N2170830 გადაწყვეტილებებისა და 07/09/2015 წლის N2177838 და 16/10/2015 წლის N2243460 ბრძანებების გათილად ცნობის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 აგვისტოს N2144139 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. #14ა–ში, შპს „დემასის“ კუთვნილი ფართის ფასადზე დადასტურდა სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობა. 2015 წლის 3 აგვისტოს N2047638 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი #52, შ.პ.ს. "ვაკე 777"–ის კუთვნილი ფართის ფასადზე დადასტურდა არსებული კარის ღიობების ამოშენების შესაძლებლობა, ასევე, სამსახურის 2015 წლის 04 სექტემბრის N2170879 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, პეკინის გამზ. #19–ში, შპს „XXI საუკუნეს“ კუთვნილი ფართის ფასადზე დადასტურდა სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობა, ხოლო 2015 წლის 08 სექტემბრის N2179005 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალა, მოქ. ელენე ჩხეტიანის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის ღობის მშენებლობისა და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობა. აგრეთვე, სამსახურის 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში რაფიკ ჯამალოვის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი: 81.05.09.083) დადასტურდა 60 კვ.მ–მდე ფართობის 5მ–მდე სიმაღლისა და 2მ–მდე ჩაღრმავების მქონე შენობის მშენებლობის შესაძლებლობა.

სამსახურის 2015 წლის 16 ოქტომბრის N2243460 ბრძანებით ქ. თბილისში, ბერბუთის ქ.N5–5ა, ბერბუთის ქ.N5ა/2; ბერბუთის ქ.N5ა/2–ის მიმდებარედ, ბერბუთის ქ.N1, ბერბუთის ქ. N5–5ა–ს მიმდებარედ (ს.კ 01.10.13.034.093) შპს ,,აპექს ჯგუფის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ასევე, სამსახურის 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 ბრძანებით ქალაქ თბილისში ზაჰესში, შპს საპროექტო–საკვლევაძიებო ინსტიტუტი ,,ტრანსპროექტის'' კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2015 წლის 02 ოქტომბერს, ასევე 2015 წლის 22 ოქტომბერს სამსახურს წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის #38/22947 და #38/35466 განცხადებები, რომლებიც ეხებოდა სამსახურის 2015 წლის 18 აგვისტოს N2144139, 2015 წლის 3 აგვისტოს N2047638, 2015 წლის 04 სექტემბრის N2170879, 2015 წლის 08 სექტემბრის N2179005 და 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილებებისა და 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 ბრძანებების კანონიერების შესწავლის საკითხს, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 13 ოქტომბრის N16/28861 განცხადება, ეხებოდა არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 აგვისტოს N2158507 ბრძანებით შეთანხმებული პროექტით განსაზღვრული პირობების დარღვევების ფაქტებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
ვებ-გვერდი - tas.ge

განცხადებებს თან ერთვოდა ფოტოსურათები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ ხსენებული გადაწყვეტილებებითა და ბრძანებებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, სამსახურის მიერ მათ დადასტურებამდე უკვე განხორციელებული იყო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, 2015 წლის 18 აგვისტოს N2144139, 2015 წლის 3 აგვისტოს N2047638, 2015 წლის 04 სექტემბრის N2170879, 2015 წლის 08 სექტემბრის N2179005 და 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილებებისა და 2015 წლის 16 ოქტომბრის N2243460 და 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 ბრძანებების კანონიერების შესწავლის მიზნით, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ N2144139 გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილა მოქ. ინგა ჭითავას 2015 წლის 12 აგვისტოს AR1334434 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის საფუძველზე დაადასტურა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი, #14ა–ში, შპს „დემასის“ კუთვნილი ფართის ფასადზე, სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობა, 2015 წლის 3 აგვისტოს N2047638 გადაწყვეტილებით კი დააკმაყოფილა მოქ. გიორგი მჭედლიშვილის 2015 წლის 29 ივლისის AR1330741 განცხადება და დაადასტურა ი.ჭავჭავაძის გამზირი #52, შ.პ.ს. "ვაკე 777"–ის კუთვნილი ფართის ფასადზე არსებული კარის ღიობების ამოშენების შესაძლებლობა. ასევე, 04/09/2015წ. N2170879 გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა სს „ფუდმარტის“ დირექტორის ირაკლი კასრაძის 28/08/2015წ. AR1338087 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის საფუძველზე დაადასტურა ქ. თბილისში, პეკინის გამზ. #19–ში, შპს „XXI საუკუნეს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობა, ხოლო 08/09/2015 წლის N2179005 დააკმაყოფილა მოქ. ელენე ჩხეტიანის 03/09/2015წ. AR1339305 განცხადება და დაადასტურა ქ. თბილისში. სოფ. ფონიჭალა, მოქ. ელენე ჩხეტიანის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის ღობის მშენებლობისა და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობა. 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში რაფიკ ჯამალოვის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი:81.05.09.083) დადასტურდა 60 კვ.მ–მდე ფართობის 5მ–მდე სიმაღლისა და 2მ–მდე ჩაღრმავების მქონე შენობის მშენებლობის შესაძლებლობა.

2015 წლის 16 ოქტომბრის N2243460 ბრძანებით ქ. თბილისში, ბერბუთის ქ.N5–ა, ბერბუთის ქ.N5ა/2; ბერბუთის ქ.N5ა/2–ის მიმდებარედ, ბერბუთის ქ.N1, ბერბუთის ქ. N5–ა–ს მიმდებარედ (ს.კ 01.10.13.034.093) შპს „აპექს ჯგუფის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 ბრძანებით ქალაქ თბილისში ზაჰესში, შპს საპროექტო–საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

აღნიშნული განცხადებებით, განმცხადებლების მიერ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა საპროექტო ობიექტების არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები.

2015 წლის 20 ნოემბერს სამსახურის მიერ გამართულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომაზე (ოქმი #455) ინგა ჭითავამ განაცხადა, რომ 2015 წლის 12 აგვისტოს AR1334434 განცხადებით მომართა არქიტექტურის სამსახურს სარეკლამო აბრის მოწყობის თაობაზე, თუმცა

შეზღუდული დროის გამო, ვინაიდან აბრის დასაწყობება ვერ მოხერხდა და ჰქონდა მოლოდინი იმისა, რომ სამსახურის მიერ დადასტურებული იქნებოდა მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა, (მსგავსი ტიპის სამუშაოებზე, იგივე ქუჩაზე სხვა ობიექტზე განმცხადებელს უკვე ჰქონდა წერილობითი დასტური მიღებული) ვერ გააკონტროლა წერილობითი დასტურის მიღება და წერილობითი დასტურის მიღებამდე მოაწყო ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. #14ა–ში, შპს „დემასის“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრა.

2015 წლის 20 ნოემბრის მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომაზე (ოქმი #454) გიორგი მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ კონკრეტულად აღნიშნული კარის ღიობის ამოშენებაზე ვერაფერს იტყვის, რადგან აღნიშნულ ობიექტზე მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ხორციელდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამსახური სისტემატიურად ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ატვირთული განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენას.

მოცემულ შემთხვევაშიც სამსახურმა ადგილზე გადაამოწმა 2015 წლის 29 ივლისის AR1330741 განცხადების თანდართული დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხსენებული განცხადებით მოთხოვნილი სამუშაოები წერილობითი დასტურის მიღებამდე განხორციელებული იყო, რაც ასევე დასტურდება, წარმოდგენილი ფოტოსურათებით, რომელიც 2015 წლის 3 აგვისტომდეა გადაღებული.

ასევე, 2015 წლის 20 ნოემბერს სამსახურის მიერ გამართულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომაზე (ოქმი #451) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამსახურმა ადგილზე გადაამოწმა 2015 წლის 28 აგვისტოს AR1338087 განცხადების თანდართული დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხსენებული განცხადებით მოთხოვნილი სამუშაოები წერილობითი დასტურის მიღებამდე უკვე ნაწარმოები იყო, რაც დასტურდება, წარმოდგენილი ფოტოსურათებით, რომელებიც 2015 წლის 04 სექტემბრამდეა გადაღებული.

სს „ფუდმარტის“ წარმომადგენელი მარიამ ძიძიგური არ დაეთანხმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს და განაცხადა, რომ სამსახურის წერილობითი დასტურის მიღებამდე ქ. თბილისში, პეკინის გამზ. #19–ში მდებარე სავაჭრო ობიექტზე სარეკლამო აბრის განსათავსებლად სამუშაოები არ უწარმოებიათ და აღნიშნულის დასადატურებლად მათ მიერ წარმოდგენილ იქნებოდა სავაჭრო ობიექტზე განთავსებული ვიდეოკამერის ჩანაწერი 03 სექტემბრის მდგომარეობით. მარიამ ძიძიგურის შუამდგომლობა მტკიცებულების წარმოდგენისთვის ვადის 2015 წლის 27 ნოემბრამდე განსაზღვრის თაობაზე დაკმაყოფილდა, თუმცა სს „ფუდმარტის“ დირექტორის – ირაკლი კასრაძის მიერ 27/11/2015წ. სამსახურში წარმოდგენილი განცხადებით სს „ფუდმარტი“ მოკლებულია 2015 წლის 03 სექტემბრისთვის ქ. თბილისში, პეკინის გამზ. #19–ში მდებარე სავაჭრო ობიექტზე დამონტაჟებული ვიდეოკამერის ჩანაწერის წარმოდგენის შესაძლებლობას, ამ უკანასკნელის ხანდაზმულობის გამო. ირაკლი კასრაძის განმარტებით, მითითებული პერიოდის ჩანაწერი წაშლილია.

ასევე, 2015 წლის 20 ნოემბერს სამსახურის მიერ გამართულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომაზე (ოქმი #450) ელენე ჩხეტიანის წარმომადგენელი ლალი ჩხეტიანი არ დაეთანხმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს, რომლის განცხადებითაც სამსახურმა 03/09/2015წ. AR1339305 განაცხადის ადგილზე გადამოწმების შედეგად დაადგინა ხსენებული განცხადებით მოთხოვნილი სამუშაოების წერილობითი დასტურის მიღებამდე ნაწილობრივ განხორციელების ფაქტი, რაც დასტურდება 2015 წლის 08 სექტემბრამდე გადაღებული ფოტოსურათებით. ლალი ჩხეტიანის განმარტებით, წერილობითი დასტურის მიღებამდე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ ყოფილა.

2015 წლის 1 დეკემბერს სამსახურის მიერ გამართულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადებულმა რაფიკ ჯამალოვმა, თავი შეიკავა პოზიციის დაფიქსირებისგან, თუმცა სხდომის მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილების მიღებამდე, სამშენებლო სამუშაოების ნაწილი უკვე ნაწარმოები ჰქონდა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამსახურმა ადგილზე გადაამოწმა 2015 წლის 27 აგვისტოს AR1336895 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხსენებული განცხადებით მოთხოვნილი სამუშაოები წერილობითი დასტურის მიღებამდე განხორციელებული იყო, რაც ასევე დასტურდება, წარმოდგენილი ფოტოსურათებით, რომელიც 2015 წლის 3 სექტემბრამდეა გადაღებული.

2015 წლის 20 ნოემბერს არქიტექტურის სამსახურის მიერ გამართულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის N453 სხდომაზე გამოცხადებულმა შპს ,,აპექს ჯგუფის" წარმომადგენელმა განმარტა, რომ კორექტირებული პროექტის შეთანხმება განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით, ასევე განმარტა, რომ ქვაბულის სიღმის გაზრდას აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და აღნიშნული არ შეიძლება გამხდარიყო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, მით უფრო მაშინ, როდესაც სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და დაინტერესებულ პირს ადმინისტრაციული აქტის მიმართ აქვს კანონიერი ნდობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელის განმარტებით, 2015 წლის 6 ოქტომბრის N000681 მითითებით, შპს ,,აპექს ჯგუფის" მიმართ დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემული 2015 წლის 26 აგვისტოს N2158707 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის დარღვევით მშენებლობის წარმოებაზე. დარღვევა გამოხატული იყო ქვაბულის სიღრმის გაზრდაში, რომელიც ნაწილობრივ გაცდენილი იყო საკადასტრო წითელ საზღვრებს. აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იყო ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად შედგენილი აზომვითი ნახაზით. ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ მითითებით გათვალისწინებულ ვადაში მხარის მიერ წარმოდგენილ იყო 2015 წლის 16 ოქტომბრის N2243460 ბრძანება, რომლითაც დაკორექტირდა მანამდე არსებული პროექტი. კორექტირებული პროექტი ითვალისწინებდა ერთი მიწისქვეშა სართულის დამატებას, თუმცა ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემოწმების შედეგად დაფიქსირდა მითითების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2015 წლის 16 ოქტომბრის N2243460 ბრძანება გამოცემული იყო მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, ვინაიდან იმ სამშენებლო სამუშაოებზე ნებართვის გაცემა, რომელიც უკვე განხორციელებულია, ნებართვის გამცემ ორგანოს შეუძლია სამშენებლო დარღვევისათვის გათვალისწინებული საჯარიმო თანხის გადახდის შემდგომ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი დაეთანხმა ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის პოზიციას და განაცხადა, რომ ზედამხედველობის სამსახურის წერილით მათთვის ცნობილი გახდა იმ გარემოების შესახებ, რომ შპს ,,აპექს ჯფუფი"–ის მიმართ სამსახურის მიერ გაცემული იყო წერილობითი მითითება უსაფრთხოების წესების დარღვევაზე.

2015 წლის 20 ნოემბერს არქიტექტურის სამსახურის მიერ გამართულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის N456 სხდომაზე გამოცხადებულმა შპს საპროექტო–საკვლევაძიებო ინსტიტუტი ,,ტრანსპროექტი"–ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროექტის მომზადებამდე მის მიერ მოხდა ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, ფოტოების გადაღება და დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მომზადება. ასევე აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განაცხადის შემოტანამდე მის მიერ არ მომხდარა ტერიტორიის გადამოწმება და იმის დადგენა რა ეტაპზე იმყოფებოდა მშენებლობა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამსახური სისტემატიურად ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ატვირთული განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენას. მოცემულ შემთხვევაში გადამოწმებით დადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ, განცხადებლის წარმოდგენის ეტაპზე წარმოდგენილი იყო ფაქტობრივი მდგომარეობისგან სრულად შეუსაბამო მონაცემები: კერძოდ სამუშაოების უმეტესი ნაწილი უკვე ნაწარმოები იყო, რის თაობაზეც 2015 წლის 11 აგვისტოს N08–38/15223369 წერილით ეცნობა არქიტექტურის სამსახურს და მიეცა მითითება გადაწყვეტილების მიღებამდე გაეთვალისწინებინა ფაქტობრივი გარემოებები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელის განმარტებით, 2015 წლის 4 სექტემბერს სამსახურის მიერ შედგენილ იქნა N000507 მითითება, რომლითაც დადგინდა დარღვევები. დარღვევების თაობაზე ინფორმაცია მოცემულია 2015 წლის 4 სექტემბრის N000507 მითითების დანართზე.

2015 წლის 29 სექტემბერს შედგენილ იქნა 000507 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, კერძოდ: მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებული იყო კორექტირებული არქიტექტურული პროექტი უკვე ნაწარმოებ სამშენებლო სამუშაოებზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების 63-ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25[1] მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. ასევე, ამავე დადგენილების 66-ე მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება განიხილება როგორც უნებართვო მშენებლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამავე მუხლის თანახმად, კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

სამსახურის 2015 წლის 18 აგვისტოს #2144139, 2015 წლის 3 აგვისტოს #2047638, 2015 წლის 04 სექტემბრის N2170879, 2015 წლის 08 სექტემბრის N2179005 და 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილებებს, ასევე 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 და 2015 წლის 16 ოქტომბრის N2243460 ბრძანებებს საფუძვლად დაედო დაინტერესებული მხარეების კანონსაწინააღმდეგო ქმედება. კერძოდ, დამკვეთების მიერ წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის ამსახველი ფოტოსურათები არ შეესაბამებოდა რეალურად იმ დროსათვის არსებულ მდგომარეობას. ამდენად, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მიმართ კანონიერი ნდობა არ არსებობს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მიმართ არ არსებობს დაინტერესებული მხარეთა კანონიერი ნდობა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა ბათილად ცნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 აგვისტოს #2144139, 2015 წლის 3 აგვისტოს #2047638, 2015 წლის 04 სექტემბრის N2170879, 2015 წლის 08 სექტემბრის N2179005, 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილებები, ასევე 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 და 2015 წლის 16ოქტომბრის N2243460 ბრძანებები მათი ძალაში შესვლის დღიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1]–ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გათვალად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 აგვისტოს #2144139, 2015 წლის 3 აგვისტოს #2047638, 2015 წლის 04 სექტემბრის N2170879 და 2015 წლის 08 სექტემბრის N2179005, 2015 წლის 3 სექტემბრის N2170830 გადაწყვეტილებები, ასევე 2015 წლის 7 სექტემბრის N2177838 და 2015 წლის 16 ოქტომბრის N2243460 ბრძანებები მათი ძალაში შესვლის დღიდან;

2. წინამდებარე ბრძანება ეცნობოთ დაინტერესებულ მხარეებს, ქ. თბილისის მუნიციალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი *დიმიტრი მოსულიშვილი*